

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



თამარ ბაქრაძე

სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა ყურუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2018 წელი

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი - **სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება** “ - ორიგინალურია. ის არ შეიცავს სხვა ავტორთა აზრებს, იდეებს, დებულებებს, თეორიებს, კვლევის მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული მონაწილე სუბიექტების უფლებები.

თამარ ბაქრაძე _____

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი დაკავშირებულია სამკვიდროს მიღებასთან, კერძოდ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს კანონით დადგენილი ვადების შემდგომ ფაქტობრივი ფლობით მიღებასთან. ნაშრომში ასახულია თუ რა სირთულეები და პრობლემები ექმნებათ მათ სამკვიდროს ვადების გაშვების შემდგომ მემკვიდრეობის მიღებისას, განხილული და დამუშავებულია სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. გამოკვლევული და შეთავაზებულია გზა სამკვიდრო საქმის წარმოებისას პრაქტიკაში წარმოშობილი სირთულეების და იმ სამართლებრივი შედეგების, თავიდან ასაცილებლად, რაც სამემკვიდრეო საქმის წარმოებისას - მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების დაუდგენლობის შემთხვევაში დგება.

Abstract

The master's thesis deals with receiving of inheritance, namely with receiving the inheritance by factual acquiring of inheritance by heirs upon expiry of deadlines stipulated by law. The work reflects the difficulties and problems faced by them after expiry of relevant deadlines, legal norms associated with factual acquiring of inheritance and relevant literature are reviewed. A solution is sought and offered for avoidance of complications in the practice of inheritance case processing and legal consequences occurring when factual acquiring of inheritance cannot be verified.

შინაარსი (სარჩევი)

Contents

1. შესავალი.....	3
2. მემკვიდრეობის ცნება და ამნიშვნელობა.....	6
3. მემკვიდრეობის სახეები	14
3.1. მემკვიდრეობა კანონით.....	14
3.2. მემკვიდრეობა ანდერძით.....	23
4. სამკვიდროს მიღება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით	35
5. სამკვიდროს ფაქტობრივ იფლობის ფაქტის დადგენის პრობლემის გადაჭრის გზა..	52
6. დასკვნა	55

1. შესავალი

ქართული საზოგადოებისათვის სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება საკითხი სამკვიდროს მიღებისას სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებასთან და აღნიშნულიდან გამომდინარე დამდგარ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. წარმოშობილი დავების სიმრავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ცხადია საკითხის პრობლემატურობა და მისი განხილვის აუცილებლობა. 2017 წელს საერთო სასამართლოებში განხილველი იყო 968 სამემკვიდრეო დავა, რომელსაც იმავე წელს დაემატა 656 დავა.¹

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, სამკვიდროს მიღება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, განხილული და დამუშავებული იქნება სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. გამოკვლევლული იქნება სამკვიდრო საქმის წარმოებისას პრაქტიკაში წარმოშობილი სირთულეები და ის სამართლებრივი შედეგები, რაც სამემკვიდრეო საქმის წარმოებისას - მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების დაუდგენლობის შემთხვევაში დგება.

აღნიშნული საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში არსებული პრობლემატიკის გათვალისწინებით.

ხშირ შემთხვევებში, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან მემკვიდრეები (კანონისმიერი, ანდერძისმიერი) რეალურად ეუფლებიან, ფლობენ,

¹იხ. საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა, 2017, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017-weli-wigni-samoqalaqo.pdf>>

სარგებლობენ/მართავენ სამკვიდრო ქონებას, თუმცა სამწუხაროდ ქართული საზოგადოების დაბალი სამართლებრივი კულტურის და ნაკლებად ინფორმირებულობის გამო მათ ფაქტიურად წარმოდგენაც კი არა აქვთ მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცედურებზე, მემკვიდრეებს ხშირად სწორედ რომ ამ არაინფორმირებულობის გამო ექმნებათ პრობლემები სამკვიდროს მიღებისას.

ამდენად, ქართული სამართლებრივი სინამდვილისათვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლემის სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებიდან, გამომდინარეწარმოშობილი დავების სიმრავლის მიხედვით შეგვიძლია თავისუფლად დავასკვნათ, აღნიშნული პრობლემის აქტუალობა. გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხისადმი მაღალი ინტერესი, ზრდის ნაშრომის შესასწავლი საკითხის აქტუალობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მემკვიდრის მიერ ქონების ფაქტობრივ დაუფლებასთან/მართვასთან დაკავშირებული საკითხები ნაწილობრივ მონესრიგებულია, თუმცა არ არის სრულად ჩამოყალიბებული.

ნაშრომში განხილული იქნება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ისტორიული წანამძღვრები და მიმოხილული იქნება აღნიშნული ცნების მნიშვნელობა ქართულ კანონმდებლობაში.

სამაგისტრო ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება საქართველოს სამოქალაქო სამართლის პრინციპები და სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების წესი, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გამახვილებული იქნება ყურადღება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების მიმართ და ასევე იმ პრობლემების ფარგლების განსაზღვრის შესახებ რასაც მემკვიდრის მიერ

სამკვიდროს რეალური დაუფლება/მართვა იწვევს, რასაც იგი დოკუმენტურად სამკვიდროს მიღების მცდელობისას ვერ დადსტურებს.

სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული, მემკვიდრის მიერ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემთხვევებზე და სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების დამდგენ იმ დოკუმენტაციაზე, რომლის წარდგენაც მას უწევს სანოტარო ორგანოში და ასევე ხშირ შემთხვევაში სასამართლოში.

წინამდებარე ნაშრომის შესწავლის ძირითადი მიზანია მემკვიდრის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემთხვევებში სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემეტიკის ანალიზი. ნაშრომის მიზანია დასახულ და შემუშავებულ იქნას მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემთხვევებში სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემეტიკის მოგვარების საშუალებები და გზები.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია სამოქალაქო კოდექსის და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისი ნორმების ანალიზი, რათა ყოველმხრივ გამოკვლეულ იქნეს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხები, რათა დაისახოს და შემუშავდეს მათი აღმოფხვრის და გამოყენების რეკომენდაციები.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემთხვევებში სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხები კანონის ცალკეული ნორმის, ქცევის და მათი რეგულაციების შესახებ, კერძოდ კი, დეტალურად იქნება მიმოხილული ერთი კონკრეტული, მნიშვნელოვანი და ისეთი აქტუალური საკითხის მოწერიგება, როგორცაა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება.

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულ იქნა ქართული ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები, უცხოური წყაროები. შესაბამისად ნაშრომში გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი ანალიზის მეთოდი.

2. მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა

მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. - რომლის მიზანიც კანონით დადგენილი წესით მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირებაა

- სამართლებრივი ურთიერთობები, ქონებრივი და პირადი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წარმოშობილი იყო ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ გადადის სხვა პირებზე, ამ უფლება-მოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობა ეწოდება.

სამოქალაქო სამართლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს გარდაცვლილის ქონებრივი და ასევე პირადი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლის რეგულირებას, წესს და პირობებს - მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით.³

² იხ. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, 6.

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1306.

მამკვიდრებელი არის პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისი კუთვნილი ქონება გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში, იგი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არ მქონე პირი და ასევე უცხოელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, მამკვიდრებელი (გარდაცვლილი პირი) შესაძლოა იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომლის დანატოვარი სამკვიდრო ქონების გადასვლა ხდება სხვა პირებზე-მემკვიდრეებზე. კანონისმიერი მემკვიდრეობისას მამკვიდრებელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, როგორც სრულწლოვანი, არასრულწლოვანი ან ქმედუნარიანი პირი, ასევე ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირიც.

ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას კი მამკვიდრებელი აუცილებელია, რომ იყოს როგორც სრულწლოვანი ისე ქმედუნარიანი პირი.⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, “მემკვიდრეები შეიძლება იყვნენკანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან. ასევე, ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.”⁵

მამკვიდრებლებისგან განსხვავებით, მემკვიდრეები შესაძლოა იყვნენ როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიც, თუმცა იურიდიული პირი შესაძლოა ანდერძით მემკვიდრე გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი შექმნილი იყო კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

⁴ იხ. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, 22.

⁵ სსკ, მ.1307.

„მემკვიდრეობის საკითხებში ქართული სამართალი ეფუძნებოდა ბერძნულ სამართალს, კერძოდ კი წესს, რა დროსაც სამკვიდრო ქონება პირველ რიგში, გადაეცემოდა დამავალი ხაზის, შემდეგ კი აღმავალი და გვერდითი ხაზის მემკვიდრეებს.

ქართული სამემკვიდრეო სამართლის ისტორიის განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეულ ცნობებს გვანვდის მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძებიც, რა დროსაც ძირითადად მიმართავდნენ კანონიერ მემკვიდრეობას, თუმცა ადგილი ასევე ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობასაც, ანდერძში წყდებოდა ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის საკითხები, მასში გამოკვეთილი იყო მოანდერძის ინტერესები, ასევე გადმოცემული იყო მოანდერძის შესახებ მთელი რიგი ინფორმაცია/ ბიოგრაფია. სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს ასევე არეგულირებს ბექასა და აღბუღას, ბაგრატ კურაპალატის და გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნები, XVIII საუკუნიდან კი ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი და მის მიერ შედგენილი კოდიკო. საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისის შედგენილ ძეგლებში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ და სხვა.“⁶

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მემკვიდრეობითი სამართლის წარმოშობა უკავშირება კერძო საკუთრების გაჩენას. VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი უკვე არსებობდა. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დაუნერგელი ადათ-წესები სავარაუდოდ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა.⁷

მემკვიდრეობის სამართლის წარმოშობა და განვითარება მჭიდრო კავშირშია საკუთრებასთან. იგი უდიდეს გავლენას ახდენს, როგორც ქონების მიღებაზე და განაწილებაზე, ისე ცხოვრების პირობების შექმნა/განვითარებაზე.

⁶ ივ. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, 13-14.

⁷ ივ. ნ. როსიფაშვილის სტატია - მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით, <<https://elawjournal.wordpress.com>>

“საკუთრების უფლება არის ის ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანის პიროვნულ თავისუფლებასთან. მისი დანიშნულებაა, ინდივიდებს შეუქმნას ქონებრივი ურთიერთობების მონესრიგებისთვის ის თავისუფალი სივრცე, რომელიც მას მისცემს საშუალებას საკუთარი პასუხისმგებლობით მოიწყოს პირადი ცხოვრება. საკუთრების უფლებისა და პიროვნული თავისუფლების უფლების ურთიერთკავშირი შინაგანია და ამ კავშირში საკუთრების უფლება ასრულებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფი ფაქტორის ფუნქციას. სხვა მხრივ, საკუთრების უფლების შეზღუდვა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას. პირიქით, მისი მიზანია ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში ისეთი ოპტიმალური საკუთრებითი რეჟიმის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელს გახდის პიროვნების უნარისა და შესაძლებლობების ფართოდ განვითარებას.”⁸

სსკ-ს თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება.⁹

სააპელაციო სასამართლომ განმარტა სამოქალაქო კოდექსის სათუქველზე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, “სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ — ამ

⁸ იხ. ლევან თოთლაძე, საკუთრების უფლების შინაარსი, ბოლო დამუშავება: 2016, 2.

<<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>>

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მუხლი 1328.

ქონების ღირებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფლობა ან მართვა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად). ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ნორმის თანახმად, გააჩნია უკუძალა, ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რაზედაც მიუთითებს მითითებული კოდექსის 1447-ე მუხლი, რომლის თანახმად, მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და

მოვალედ მიიჩნევა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაციასავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, თუმცა, რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება.¹⁰

„სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან დაკავშირებით იქმნებოდა ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც მოწესრიგდებოდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად ჩაითვადა შემუშავებული ყოფილიყო სამართლის ნორმები, რომლის შესაბამისადაც მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამკვიდრო ქონება გადაეცემოდა უფლების სხვა სუბიექტს.

სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესს და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს რომელსაც მემკვიდრეობითი სამართალი ეწოდება.“¹¹

„ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ერთ-ერთი აქტუალური, მრავალგვერდი ხასიათის პრობლემაა. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ მაქსიმალურად გაამყარა ადამიანის უფლებათა კატალოგი და გახდა მნიშვნელოვანი შტრიხი იმ რეფორმების ჯაჭვში, რომლებიც შეეხება ინდივიდუალის სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული

¹⁰ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 10-11, საქმე №2ბ/6068-13, 25 მარტი, 2014 წელი)

¹¹ნ. როსეფაშვილი, სტატია , მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით. <<https://elawjournal.wordpress.com>>

და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. “ კონსტიტუციაში ასეთი უფლების დამაგრება იმავდროულად, განაპირობებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიარებდეს, უზრუნველყოფდეს და იცავდეს მას საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა ნორმამ განვითარება ჰპოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნში (მემკვიდრეობის სამართალი), რომლის მიღებასთან ერთად, მემკვიდრეობის ინსტიტუტმა კარდინალური ცვლილებები განიცადა.“¹²

3. მემკვიდრეობის სახეები

3.1. მემკვიდრეობაკანონით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არსებობს ორი სახის მემკვიდრეობა: კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა. კანონით და ანდერძით მემკვიდრეობის ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გამო, მოქმედი კანონმდებლობა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ნორმებს ითვალისწინებს, რომლებიც აწესრიგებენ თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს.

კანონისმიერ მემკვიდრეობას სანოტარო პრაქტიკაში უფრო ხშირად აქვს ადგილი ვიდრე ანდერძისმიერ მემკვიდრეობას, რაც როგორც ჩანს იმით არის

¹² ლეილა კობრიძე, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი ვ#2(41)'14 , 9,10.
<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martmsajuleba-da-kanoni-2014w-n2.pdf>>

განპირობებული, რომ მოსახლეობისათვის უფრო მეტად მისაღებია კანონისმიერი მემკვიდრეობისათვის დადგენილი წესების გამოყენება. შესაძლოა ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ ადამიანისთვის სიკვდილი, როგორც წესი მოულოდნელია და იგი ყოველთვის ვერ ახერხებს მისი კუთვნილი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გამოხატოს თავისი ნება. კიდევ ერთი ფაქტორი რითაც შეიძლება გამოიხატებოდეს კანონისმიერი მემკვიდრეობის უფრო მეტად აქტუალობა ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ანდერძის შედგენისას ადამიანი ფიქრობს გარდაცვალებაზე და იმ შედეგებზე რაც მისი გარდაცვალების შემდეგად შესაძლოა მოხდეს.¹³

სსკ-ს თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე სათუძვლით. კანონით მემკვიდრეობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.¹⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ: კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან; ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.

¹³ იხ.მ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, 73, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000.

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1306.

ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით. თუკი იგი მამაზე აღრე გარდაიცვლება, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ სამკვიდროდან, რომელიც მათ მამას ეკუთვნოდა¹⁵

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში მოქმედებს მემკვიდრეთა ხუთრიგიანი სისტემა, საქართველოს სამოქალაქო მიხედვით თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1309, მუხლი 1307.

ბიოლოგიურ ნათესავეებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები, ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრის არსებობა, გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიიღებას.¹⁶

საინტერესოა, როგორ არეგულიერებს ამ საკითხს ბერძნული სამართალი რომლის თანახმად, სამკვიდრო ქონების უნივერსალური შემადგენლობა, მემკვიდრეობის უფლება და მემკვიდრეების მიერ დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, მამკვიდრებლის მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის კანონისმიერ მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან იგულისხმება ჩასახულად სამკვიდროს გახსნის მომენტში. ჩასახული ბავშვი, რომელიც არ

¹⁶საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1336, მუხლი 1337.

დაიბადება ცოცხალი, ითვლება არარსებულ ბავშვად. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, ფონდი, რომელიც შეიქმნა მისი დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ, განიხილება როგორც არსებული სიკვდილის მომენტისათვის, მისთვის განკუთვნილ ქონებასთან მიმართებაში . ბერძნული სამართლის თანახმად, მემკვიდრეს ენიჭება კანონიერი უფლება სამკვიდროზე მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში. რაც შეეხება უძრავ ქონებას და ზოგადად რეალურ უფლებებს, მათი დაკანონება ექვემდებარება ქონების მიღებაზე სანოტარო აქტის და სამკვიდრო მონაწილის დარეგისტრირებას საბერძნეთის უძრავი ქონების შესაბამის რეესტრში. რეგისტრაციის დროს „მამკვიდრებლის გარდაცვალება (დამონაწიბებული) სერტიცირებული უნდა იყოს. მემკვიდრედ აღიარებისათვის მოითხოვება მხოლოდ იურიდიული უფლება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფიზიკურ (თუნდაც ჯერ არ შობილს მაგრამ ჩასახულის), ან იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს მემკვიდრე. გარდა ამისა, გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ ჩაუსახავ პირზე და უნივერსალური ნდობის სახით ჯერ ჩამოუყალიბებელ იურიდიულ პირზე გადადის მემკვიდრეობა ფიზიკური პირის გაჩენის მომენტში, ისევე როგორც იურიდიული პირის დაარსების მომენტში.

“ ბერძნული სამართლის მიხედვით ,, თუ კი მამკვიდრებელი ცოცხალია მეუღლის და შვილების გარდაცვალების შემდეგ, მეუღლეს ეკუთვნის მეოთხედი და შვილები ინაწილებენ დანარჩენ სამ მეოთხედს. თუ მეუღლეს გააჩნია მონაწილეობის უფლება ქორწინების დროს შექმნილ ქონებაში, პირველ რიგში უნდა დარეგულირდეს ეს მონაწილეობა (მუხლი 1400 და შემდეგი, სამოქალაქო კოდექსი). თუ კი მამკვიდრებელს არ ჰყავს შთამომავლები, მეუღლე მიიღებს სამკვიდროს ნახევარს, როდესაც ის მემკვიდრეა გარდაცვლილის მშობლებთან ან დებთან და ძმებთან ერთად; მეორე ნახევარი თანაბრად გადადის ოჯახის წევრებზე ნათესავებზე მემკვიდრეობა გადადის რიგითობის მიხედვით. ყოველ რიგში მოქმედებს წარმომადგენლობის პრინციპი და სამკვიდროს გადასვლის პრინციპი შტოების მიხედვით. სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის გარდაცვლილის

შთამომავლის ადგილს იკავებენ მისი მეშვეობით გარდაცვლილთან დანათესავებული შთამომავლები პირველ რიგში კანონიერ სავალდებულო წილის (სამკვიდროში) მემკვიდრეებად სახელდებიან გარდაცვლილის შთამომავლები. ერთ შტოში მათ შორის ყველაზე ახლობელი გამორიცხავს ყველაზე შორეულს შვილები ინანილებენ თანაბარ წილებს. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1578 მუხლის თანახმად, ნაშვილები შვილის პოზიცია მშვილებლის მიმართ გათანაბრებულია კანონიერ შვილთან და გააჩნია სამკვიდრო უფლებები მშვილებელთან მიმართებაში. მეორე რიგში ერთად სახელდებიან გარდაცვლილის დედ-მამა, დები და ძმები, ისევე როგორც (ადრე) გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები. დედ-მამა და დები და ძმები იღებენ სამკვიდროს თანაბარ წილებს, (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები კი შტოების მიხედვით. (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები გამორიცხავენ იმავე შტოს შვილიშვილებს. სხვა ქორწინებით დები და ძმები, რომლებიც მემკვიდრეები არიან დედ-მამასთან, ღვიძლ დებთან და ძმებთან თუ მათ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მიიღებენ იმ წილის ნახევარს, რომელიც ღვიძლ დებზე და ძმებზე მოდის. ასევე, სხვა ქორწინებიდან (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების, შვილები და შვილიშვილები ღებულობენ ნახევარს. მესამე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის ბებია პაპები, და მათ შთამომავლებს შორის შვილები და შვილიშვილები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში, ორივე ხაზის ბებია პაპები, ცოცხლები არიან, მხოლოდ ისინი არიან თანაბარი წილების მემკვიდრეები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დედის ან მამის მხრიდან ბებია ან პაპა აღარ არის ცოცხალი, ამ გარდაცვლილის შვილები და შვილიშვილები იკავებენ მის ადგილს. შვილების და შვილიშვილების არარსებობის შემთხვევაში, ამ გარდაცვლილის წილი გადადის ამავე ხაზის ცოცხლად დარჩენილ პაპაზე ან ბებიაზე, და მის არარსებობისას, მის შვილებზე და შვილიშვილებზე. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დედის ან მამის მხრიდან პაპა ან ბებია აღარ არიან ცოცხლები, და თუ არ

არსებობს ამ გარდაცვლილების შვილები და შვილიშვილები, მეორე ხაზის პაპა ან ბებია, ან მათი შვილები ან შვილიშვილები არიან ერთადერთი მემკვიდრეები. შვილები თანაბარი წილების მემკვიდრეები არიან და გამორიცხავენ იგივე შტოს შვილიშვილებს. შვილიშვილები მემკვიდრეები არიან შტოების მიხედვით. მეოთხე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის დიდი ბებია პაპები. სამკვიდროს გახსნის მომენტში, ცოცხლად მყოფი დიდი ბებია პაპები თანაბარი წილების მემკვიდრეები არიან, მიუხედავად იმისა თუ ერთსა თუ სხვა და სხვა ხაზს მიეკუთვნებიან. შტოების მიხედვით მემკვიდრეობისას, პირი, რომელიც ერთდროულად მიეკუთვნება რემოდენიმე შტოს, ღებულობს მის კუთვნილ წილს ყველა შტოში. ყოველი ეს წილი განიხილება როგორც ცალკეული სამკვიდრო წილი. არცერთი ნათესავი არ სახელდება მემკვიდრედ, ვიდრე არსებობს წინა რიგის დასახელებული ნათესავი. ცოცხლად დარჩენილი მეუღლე სახელდება კანონიერ სავალდებულო წილის მემკვიდრედ სამკვიდროს მეოთხედზე, როდესაც მემკვიდრეა პირველი რიგის ნათესავებთან ერთად, და ნახევარზე, როდესაც მემკვიდრეა მომდევნო რიგების ნათესავებთან ერთად. თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კანონიერი სავალდებულო წილის მემკვიდრეა, მეორე, მესამე თუ მეოთხე რიგის ნათესავებთან ერთად, მას გარდა კუთვნილი სამკვიდრო წილისა, ეკუთვნის ავეჯი, საოჯახო ჭურჭელი, ტანისამოსი თუ სხვა მსგავსი საოჯახო ნივთები, რომელიც იყო ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სარგებლობაში ან ორივე მეუღლის სარგებლობაში. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე სახელდება როგორც კანონიერი სავალდებულო წილის მემკვიდრე სამკვიდროს სრულად მისაღებად. ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ვერ ექნება ვერც სამკვიდროზე თუკი გარდაცვლილი აპირებდა მოეთხოვა განქორწინება, მეუღლის ბრალეულობის გამო და ამ მიზნით წამოწყებული ჰქონდა შესაბამისი ქმედება. სამოქალაქო სოლიდარობის პაქტის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი სახელდება კანონიერ სავალდებულო წილის მემკვიდრედ სამკვიდროს

მეექვსედზე, როდესაც მემკვიდრეა პირველი რიგის ნათესავებთან ერთად, და სამკვიდროს მესამედზე, როდესაც შემდგომი რიგების ნათესავებთან ერთად არის მემკვიდრე. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი სახელდება კანონიერ სავალდებულო წილის მემკვიდრედ სამკვიდროს სრულად მისაღებად. თუ კანონიერ სავალდებულო წილის მემკვიდრეს ჩამოერთვა მისი უფლებები, სამკვიდროს გახსნამდე ან მის გახსნის შემდეგ, და თუ ამის შედეგად მეორე კანონიერი სავალდებულო წილის მემკვიდრის წილი გაიზარდა, ეს გაზრდილი განაკვეთი განიხილება როგორც განსხვავებული სამკვიდრო წილი, რაც შეეხება ამ მემკვიდრის თუ უფლებაჩამორთმეულ მემკვიდრის ლეგატსა და დანაკისრს, ისევე როგორც ანგარიშვალდებულებას. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში არ არსებობს არც კანონიერი მკვიდრი ნათესავი და არც გარდაცვლილის მეუღლე, სახელმწიფო სახელდება კანონიერ სავალდებულო წილის მემკვიდრეთ. სახელმწიფოს არ შეუძლია უარის თქმა სამკვიდროზე. გარდაცვლილს არ შეუძლია გამორიცხოს ის ანდერძით, რადგან არავის შეუძლია გარდაიცვალოს მემკვიდრის გარეშე¹⁷.

საინტერესოა ასევე თურქეთის სამემკვიდრეო სამართალი კანონისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. “კანონისმიერი სამკვიდროს შემთხვევაში, საკუთრება გადანაწილდება მემკვიდრეებზე შემდეგნაირად : - პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ გარდაცვლილის შვილები, და თუ ისინი აღარ არსებობენ, მათი შვილები. - შვილების და შვილიშვილების არარსებობის შემთხვევაში, გარდაცვლილის მშობლები არიან მისი მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები. - თუკი გარდაცვლილის მშობლები აღარ არიან ცოცხლები, მესამე რიგის კანონიერ მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი ბებია-პაპები და მათი შვილები.

¹⁷იხ.საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 1- 4.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

თუ გარდაცვლილის მეუღლე გარდაცვლილის ბავშვებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს მეოთხედს. - თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის მშობლებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს ნახევრს. - თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის ბებია-პაპებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს სამ მეოთხედს. - თუ არ არსებობს ზემოთ ნახსენები არცერთი კანონიერი მემკვიდრე, სამკვიდრო სრულად გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე. - თუ არცერთი კანონიერი მემკვიდრე და არც მეუღლე აღარ არის ცოცხალი, გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება რჩება სახელმწიფოს. - ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლებები გახდნენ დედის მემკვიდრეები, სხვა ბავშვებთან ერთად. თუ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მამა აღიარებს, ან თუ ბავშვის მამად აღიარება დადგენილია სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ისინი თანაბარი მემკვიდრეები არიან ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან ერთად. - ნაშვილებ ბავშვებს თანაბარი უფლებები აქვთ გარდაცვლილის კანონიერ ბავშვებთან ერთად. ამგვარად ისინი მიიღებენ იმავე თანხას, როგორც გარდაცვლილის სხვა ბავშვები. მშვილობელს არ აქვს უფლება შეეცილოს ნაშვილებ ბავშვს მის საკუთრებაში. ნაშვილები ბავშვი შესაძლოა იყოს მისი ბიოლოგიური მშობლების კანონისმიერი მემკვიდრე და ერთდროულად შეუძლია გახდეს მათი და მისი მშვილობლების მემკვიდრე. სამკვიდროს შემთხვევაში სამკვიდრო აქტივების ტრანსფერი ხორციელდება ავტომატურად სამკვიდროს მფლობელი პირის გარდაცვალების დროს. სამკვიდროს გაუქმება შესაძლებელია სამი თვის ვადაში გარდაცვალებიდან. როდესაც დავალიანებების თანხა აღემატება აქტივების ჯამს, გაუქმება განიხილება როგორც ავტომატური. არასრულწლოვანთა (18 წლამდე) კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ აურის თქმა სამკვიდროზე მათი სახელით. მემკვიდრეობაზე უარის თქმა შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მენდერძე (მამკვიდრებელი) და მემკვიდრე ხელს აწერენ გარიგებას ნოტარიუსის

წინაშე. ეს შესაძლოა განხორციელდეს გარკვეული პირობით. თუ მემკვიდრე ღებულობს სანაცვლოდ კომპენსაციას, ეს გავლენას იქონიებს მის მემკვიდრეებზე და ისინი ვერ გახდებიან იმავე მამკვიდრებლის მემკვიდრეები.¹⁸

3.2. მემკვიდრეობა ანდერძით

“გარდა კანონისმიერი მემკვიდრეობისა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მამკვიდრებელს მემკვიდრეთა ამორჩევის უფლებას აძლევს. სამართლისა და სამემკვიდრეო ურთიერთობათა განვითარებამ ანდერძის საყოველთაო დამკვიდრება განაპირობა. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით „ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფის ან მომაკვდავის სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელის ნების გამოცხადებას, ანდერძი ეწოდება”. (ივ. ჯავახიშვილის, თხზულებანი, ტ.VII, თბილისი 1984.) ანდერძი არის მოქალაქის განკარგულება, რომლითაც შესაძლებელია სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრეთა დანიშვნა. აღნიშნულ ცნებას ასახავს ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ სსკ-ს 1344 მუხლი რომლის თანახმადაც: „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც”.¹⁹

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ანდერძის შედგენის მხოლოდ წერილობით ფორმას, პირადად მოანდერძის მიერ.

¹⁸იხ. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება,1-2.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

¹⁹ ნ. როსეთაშვილი, სტატია , მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით.
<https://elawjournal.wordpress.com>

ანდრეძი ცალმხრივი, პირადული ხასიათის გარიგებაა. მოანდერძე შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი. დაუშვებელია ორი ან მეტი პირის მიერ ერთობრივი ანდერძის შედგენა, გამონაკლისს წარმოადგენს, მხოლოდ მეუღლეების ერთობრივი ანდერძი მათი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობა განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. (სსკ-1347მ.). კანონი მოანდერძეს აძლევს საშუალებას თავად გაანაწილოს როგორც თავისი მთლიანი ქონება ასევე მისი ნაწილი. ანდერძი შეიძლება იყოს ორი სახის: შინაურული და სანოტარო ფორმით შედგენილი. შინაურული ანდერძი შეიძლება შეადგინოს მოანდერძემ, მოანეროს ხელი და საკუთარი სურვილისამებრ შეინახოს იგი. თუმცა სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი უფრო საიმედოა. სანოტარო ფორმა გულისხმობს, რომ მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძი უნდა დაადასტუროს ნოტარიუსმა, ხოლო იქ სადაც ნოტარიუსი არ არის კანონი ითვალისწინებს თანამდებობის იმ პირთა წრეს რომლებიც ნოტარიუსთან არიან გათანაბრებულნი (სსკ-1359 მ.), ესენი არიან:

- ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;
- ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;
- გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;
- დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის

და თუ მონადერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

ე) პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი, თუ მონადერძე პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფება.²⁰

თურქეთში მოქმედი კანონმდებლობით, “ანდერძი შეიძლება განიხილოს როგორც ცალმხრივი იურიდიული ტრანზაქცია, რომელიც გამოხატავს პირის, კანონის ფარგლებში შედგენილ სურვილს, რომელიც ეფექტური ხდება პირის გარდაცვალების შემდეგ. სრული იურიდიული ქმედუნარიანობის მქონე თხუთმეტი წლის პირს შეუძლია შეადგინოს ანდერძი თურქეთის სამოქალაქო კოდექსში გაცხადებული ფორმისა და ჩარჩოს ფსრგლარბში. შეცდომა, ფალსიფიკაცია და იძულება ბათილად ხდის ანდერძს. ანდერძი შესრულებული უნდა იყოს კანონთ გათვალისწინებული ფორმის სახით. ანდერძის საგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქონების გადანაწილებით. პირს შეუძლია, მაგალითად, ანდერძში აღიაროს ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები. ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნას ნოტარიუსის ან ადვოკატის წინაშე. თურქეთში უფრო მიღებულია ანდერძის შედგენა ნოტარიუსთან. მეანდერძეს (მამკვიდრებელს) შეუძლია გამოიყენოს ნოტარიუსის დახმარება ანდერძის შედგენა/მომზადებაში ან მხოლოდ მის დასაცავად ნოტარიუსის არქივებში. წერილობითი ანდერძი სრულად შესრულებულია პირადად მეანდერძის მიერ. მასში უნდა ფიგურირებდეს შედგენის ადგილი და თარიღი, მოიცავდეს მის ხელმოწერას და მოთავსებულ იქნას მის მიერ კონვერტში. წერილი, თუკი ის პასუხობს მოთხოვნებს და თუ პირის სურვილი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, შეიძლება ჩაითვალოს წერილობით ანდერძად. 3 ზეპირი ანდერძი ვალიდურია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და

²⁰ იხ. ნ. როსეთაშვილის სტატია, მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით. <<https://elawjournal.wordpress.com>>

არანაკლებ ორი პირის თანდასწრებით (გარდაუვალი სიკვდილის საშიშროება, მძიმე დაავადება, ომი, და ა.შ.). თუ მეანდერძეს დაუბრუნდა წერილობითი ანდერძის შედგენის უნარი, მან ის უნდა შეადგინოს ერთი თვის ვადაში განსაკუთრებული შემთხვევების პერიოდის დასრულებიდან. თუ ის ამას არ შეასრულებს, მისი ზეპირი ანდერძი ბათილდება. შესაძლებელია კანონიერ მემკვიდრეებთან ერთად შეირჩეს გარე მემკვიდრე, ისე რომ არ დაზარალდეს მემკვიდრეების სამკვიდრო სავალდებულო წილები. შესაძლებელია ვალიდური ანდერძის მეშვეობით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვას მემკვიდრეს, მაგრამ მკათიოდ უნდა იყოს განმარტებულია ამ არჩევანის მიზეზები, კანონის თანახმად. თუკი მიზეზები არასაკმარისია და არ ექცევა კანონის ჩარჩოში, ან მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა არ ხდება ვალიდური ანდერძის მეშვეობით, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უკუგდებულია. თუკი კანონიერი მემკვიდრეები ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს მეანდერძის (მამკვიდრებლის) ან მისი ნათესავების მიმართ, ან არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ კანონიერ ვალდებულებებს, მათ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება²¹

საბერძნეთის კანონმდებლობით “ანდერძები საანდერძო დებულებანი განერილია სამოქალაქო კოდექსის 1716-1812 მუხლებში. სამოქალაქო კოდექსის 1712 მუხლის თანახმად, ანდერძის მიმართ მოქმედებს „mortis causa“-ს პრეზუმფცია (ძალაშია სიკვდილის შემთხვევაში, სიკვდილის მიზეზით). თავისუფლად გაუქმებადი (შეცვლადი), ცალმხრივი უკანასკნელი ნების დებულება. უკანასკნელი ნების დებულებანი თავისუფლად გაუქმებადია (შეცვლადი). კერძოდ, ნებისმიერი ანდერძი შესაძლოა გაუქმებულ (შეცვლილ) იქნას (მუხლი 1763, სამოქალაქო კოდექსი). ანდერძის მეშვეობით შესაძლებელი ხდება პირის გარდაცვალების შემდეგ მოხდეს მისი მემკვიდრეობის და ზოგიერთი საოჯახო სამართლის საკითხის რეგულირება, მაგალითად, მშობლების ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების

²¹იხ. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 2- 3.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

შვილებად ცნობა (მუხლი 1476, სამოქალაქო კოდექსი). დებულებანი მეანდერძის ქმედუნარიანობის შესახებ სპეციალურ ხასიათს ატარებს (მუხლი 1719 და შემდგომი, სამოქალაქო კოდექსი) და ვრცელდება მიუხედავად წინააღმდეგობისა სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებთან, ქმედუნარიანობის შესახებ. 5 ამ დებულებების თანახმად, ანდერძის შედგენა არ შეუძლიათ არასრულწლოვნებს, ანუ მათ ვისაც არ შეუსრულდა თვრამეტი წელი, და მათ ვისაც ეს აკრძალული აქვთ ანუ მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს, რომელთაც პირდაპირი წესით ჩამორთმეული აქვთ ანდერძის შედგენის უფლება, მათ ვისაც ანდერძის შედგენის მომენტში არ აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ან დაკარგული აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ფსიქიური დაავადების შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აკრძალვის მქონე და მხარდაჭერის მიმღები (უძღები) პირების ქმედუნარობა ძალაში შედის იმ სარჩელის შეტანისთანავე, რომლის შედეგადაც განხორციელდა აკრძალვა ან იურიდიული დახმარების დანიშვნა (მუხლი 1719, სამოქალაქო კოდექსი). თუ აკრძალვის მქონე პირმა შეადგინა ანდერძი საბოლოო ამკრძალავ გადაწყვეტილებამდე, აკრძალვა არ მოქმედებს ანდერძის ნამდვილობაზე იმ შემთხვევაში, თუ აკრძალვის მქონე პირი გარდაიცვლება ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი. ასევე, თუ აკრძალვის მქონე პირმა შეადგინა ანდერძი იმ სარჩელის შეტანამდე, რომლის მიზანია აკრძალვის მოხსნა, და თუკი აკრძალვის მოხსნა გამოცხადდა სარჩელის შესაბამისად. ეს დებულებანი ვრცელდება ასევე მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაზე (მუხლი 1720, სამოქალაქო კოდექსი). ავთენტურ ანდერძში მეანდერძის ქმედუნარიანობა უნდა არსებობდეს სანოტარო აქტზე ხელისმონწერამდე. ანდერძი პერსონალური აქტია, შესაბამისად, ნებაყოფლობითი თუ კანონიერი წარმომადგენლობა დაუშვებელია. ქმედუნარო პირის მიერ შედგენილი ანდერძი ბათილია და შემდგომში ვერ ჩაითვლება ნამდვილად. არსებობს ანდერძის ჩვეულებრივი და სპეციალური ფორმები. ჩვეულებრივი ანდერძებია, ხელნაწერი ანდერძი, ავთენტური ანდერძი და საიდუმლო ანდერძი:

ხელნაწერი ანდერძები მთლიანად შესრულებულია მეანდერძის ხელით და მოიცავს ამ უკანასკნელის ხელმოწერას და თარიღს (მუხლი 1721, სამოქალაქო კოდექსი). სხვა ფორმატს აღარ საჭიროებს, მაგრამ შესაძლებელია შენახული იქნას ნოტარიუსთან (მუხლი 1722, სამოქალაქო კოდექსი). ავთენტური ანდერძი სრულდება ნოტარიუსთან მეანდერძის უკანასკნელი ნების განცხადებით, სამი მოწმის თანდასწრებით, ან 6 მეორე ნოტარიუსის და ერთი მოწმის თანდასწრებით (მუხლი 1724, სამოქალაქო კოდექსი). ავთენტური ანდერძის შედგენის უფლება არ აქვთ ნოტარიუსებს და მოწმეებად ვერ გამოდგებიან მეანდერძის არსებული თუ ყოფილი მეუღლე, სისხლით ნათესავები ან მეანდერძის ნათესავები პირდაპირი თუ ირიბი ხაზით, მესამე რიგის ჩათვლით, ისევე როგორც ანდერძში დასაჩუქრებული პირები (მუხლი 1725, სამოქალაქო კოდექსი), ასევე ვერ იქნებიან (ნოტარიუსი და მოწმე) სამკვიდრო აღმსრულებლად დანიშნული პირები, ან რომლებსაც ზემოაღნიშნულიდან რომელიმე სახის კავშირი აქვთ ანდერძში დასაჩუქრებულ პირებთან ან აღმსრულებლებად დანიშნულ პირებთან (მუხლი 1726, სამოქალაქო კოდექსი). მოწმეებს ფიცი აქვთ დადებული და ნოტარიუსი მათ უნდა იცნობდეს ან მოახდინოს მათი იდენტიფიცირება პროცედურის დაწყებამდე. ისინი მოვალენი არიან საიდუმლოდ შეინახონ ანდერძის დებულებანი მის გახსნამდე, საიდუმლოების ნებისმიერი დარღვევა, ეჭვმდებარება სისხლის სამართლის დევნას. ავთენტური ანდერძის შედგენა ნოტარიუსის და საკონსულოს ოფიცრების (ბერძენი ეროვნების პირთათვის უცხოეთში) კომპეტენციაა. ავთენტური ანდერძი უნდა იყოს შედგენილი ბერძნულ ენაზე. თუ მეანდერძე არ საუბრობს ბერძნულად, სავალდებულოა თარჯიმნის დახმარება (მუხლი 1737, სამოქალაქო კოდექსი). საიდუმლო ანდერძი - ანდერძი, რომელიც მეანდერძის ხელმოწერილი წერილობითი ფორმით გადაეცემა (მეანდერძის მიერ) ნოტარიუსს ხელში სამი მოწმის თანდასწრებით, ან მეორე ნოტარიუსის და ერთი მოწმის თანდასწრებით, რასაც თან ახლავს სიტყვიერი განცხადება, რომ გადაცემული ტექსტი მოიცავს მეანდერძის უკანასკნელ ნებას (მუხლი 1738, სამოქალაქო კოდექსი). გადაცემულ

ფურცელს ან კონვერტს, რომელიც მას მოიცავს, ნოტარიუსი არტყამს ბეჭედს, აწერს მონდერძის გვარს და სახელს და გადმოცემის თარიღს. საბუთს ხელს აწერენ ნოტარიუსი და პირები, რომლებიც მონაწილეობენ აქტში (მუხლები 1741-1742, სამოქალაქო კოდექსი). სპეციალური ანდერძი არის გემზე შესრულებული ანდერძი (მუხლები 1749-1752, სამოქალაქო კოდექსი), ექსპედიციის დროს შესრულებული ანდერძი, ალყის დროს შესრულებული ანდერძი, ტყვეობაში შესრულებული ანდერძი (მუხლები 1753-1755, სამოქალაქო კოდექსი) და იზოლირებულ ადგილას შესრულებული ანდერძი, (მუხლი 1757, სამოქალაქო კოდექსი). სპეციალური ანდერძები, რომელიც განსაკუთრებულ პირობებშია შესრულებული, ვალიდურია მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, განსაკუთრებული პირობების დადგომიდან, რომელიც მათი რედაქტირების საშუალებას იძლევა. ბერძნული სამართალი არ ითვალისწინებს ერთობლივი ანდერძის შემთხვევას; ერთი აქტი ვერ მოიცავს რამოდენიმე პირის მიერ შედგენილ ანდერძს (მუხლი 1717, სამოქალაქო კოდექსი).²²

“ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მონდერძეს ნებისმიერ დროს სურვილისამებრ შეუძლია შეცვალოს, გააუქმოს ან/და შეადგინოს ახალი ანდერძი. ანდერძზე აუცილებელია თარიღის მითითება, თუკი მონდერძის მიერ შედგენილია ერთზე მეტი ანდერძი, ძალაშია ის, რომელიც უფრო გვიანდელი თარიღით არის დათარიღებული. შინაურული და სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძების შემთხვევაში კი მიუხედავად შედგენის თარიღისა, უპირატესობა ენიჭება სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძს. რაც შეეხება ანდერძის შინაარსს მონდერძეს სურვილისამებრ შეუძლია უანდერძოს თავისი ქონება ნებისმიერ პირს.

²² იხ. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 4-7.

²² იხ. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 2-3.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა მოანდერძეს ანიჭებს თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს და აარჩიოს მემკვიდრეთა წრე და ასევე თავად განსაზღვროს თავისი პირადი საკუთრების მემკვიდრეებზე წილობრივი განაწილების საკითხები.

მიუხედავად მოანდერძის ნებისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მაინც იცავს კანონით მემკვიდრეთა უფლებებსა და ინტერესებს და გამომდინარე აქედან ადგენს სავალდებულო წილის ცნებას (სსკ.1371მ.). რომლის თანახმადაც, მემკვიდრეების შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). აღნიშნული ნორმა მოქმედებს, მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი გათვალისწინებულნი ანდერძში. მოქმედი კანონით სამოქალაქო კოდექსი იცავს მოანდერძის ყველაზე ახლობელ ადამიანებს მის ოჯახის წევრებს, მემკვიდრეობის გარეშე დარჩენისგან.²³

თურქეთში მოქმედი კანონმდებლობით “ სამკვიდროს სავალდებულო წილები ერგება შემდეგ მემკვიდრეებს : - ბავშვებს ერგება კანონიერი წილის ნახევარი. - მშობლებს ერგება კანონიერი წილის მეოთხედი. - ცოცხლად დარჩენილი მეუღლის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე. თუ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა არჩინოს გარდაცვლილის შვილები ან მშობლები, ის მიიღებს კანონიერ წილს სრულად, სხვა შემთხვევაში სამ მეოთხედს.”²⁴

²³ ²³ იხ. ნ. როსევაშვილის სტატია , მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით.
<<https://elawjournal.wordpress.com>>

²⁴ იხ. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 3.
<https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf>

საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად „სავალდებულო წილთან დაკავშირებული დებულებანი განერილია სამოქალაქო კოდექსის 1825-1838 მუხლებში.

საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვა საკუთარი ნების თანახმად წარმოადგენს პიროვნების განვითარების თავისუფლების ნაწილს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. ეს განერილია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც აწესებს ასევე რამოდენიმე შეზღუდვას, რათა დაცული იქნას უახლოესი ნათესავების უფლებები, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს წარმოადგენენ. ეს შეზღუდვები შემოყვანილია კანონიერი წილის ცნების სახით, რომელიც წარმოადგენს უახლოესი ნათესავებისადმი განკუთვნილი ქონების ნაწილს, გარდაცვლილის ნების მიუხედავად. თუკი მამკვიდრებლის შთამომავალი, მეუღლე, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი (სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში Pacs) და მშობლები არ ფიგურირებენ სამკვიდროს გადასვლაში, გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტების მიხედვით („mortis causa“), მათ აქვთ უფლება სავალდებულო წილზე (მუხლი 1825, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 1825 მუხლის სათაური „სავალდებულო წილი“ გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილის შთამომავლებს, მის დედ-მამას, ისევე როგორც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომლებიც კანონისმიერი სავალდებულო წილის სამკვიდროს მემკვიდრეებად იქნებოდნენ დასახელებული, აქვთ უფლება სამკვიდროს კანონიერ სავალდებულო წილზე. იგივე უფლება გააჩნია როგორც ცოცხლად დარჩენილ პარტნიორს, სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში (Pacs) (მუხლი 11, პ. 2, კანონი 3719/2008). კანონიერი წილი წარმოადგენს სავალდებულო წილის სამკვიდრო ნაწილის ნახევარს. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილზე ნაკლებს, მას აქვს უფლება განსხვავებაზე (მუხლი 1827, სამოქალაქო კოდექსი). სამკვიდროს გადასვლის მომენტში სავალდებულო წილით მემკვიდრე ცოცხალი ან თუნდაც ჩასახული უნდა იყოს.

სავალდებულო წილით მემკვიდრის მინიმალური უფლება მაშინვე აღიქმება როგორც, გარდაცვლილის მატერიალურ ქონებაში მონაწილეობა. კანონიერი სავალდებულო წილის დასაანგარიშებლად, ათვლის წერტილად იღებენ სამკვიდროს მდგომარეობას და ღირებულებას მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, მას შემდეგ რაც გამოიქვითა ვალები და დაკრძალვისა და საინვენტარიზაციო ხარჯები (მუხლი 1831, სამოქალაქო კოდექსი). მონადერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება შთამომავალს, თუკი მან :

- საფრთხე შეუქმნა მენადერძის, მისი მეუღლის ან მენადერძის სხვა შთამომავალის სიცოცხლეს.
- შეგნებულად დამნაშავეა უდიერ ფიზიკურ მოპყრობში მენადერძის ან მისი მეუღლის (მისი მშობლის) მიმართ.
- შეგნებულად დამნაშავეა სასხლის სამართლის დანაშაულსა ან სერიოზულ დარღვევაში მენადერძის თუ მისი მეუღლის წინააღმდეგ.
- განზრახ არ შეასრულა მისი კანონიერი საალიმენტო ვალდებულება მენადერძის წინაშე.
- ან ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას მენადერძის ნების მიუხედავად. უკანასკნელი მოტივით სამკვიდრო უფლების ჩამორთმევა ბათილია, თუკი შთამომავალი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის საბოლოოდ აღარ ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას (მუხლი 1840, სამოქალაქო კოდექსი).

მენადერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება საკუთარ დედ-მამას იგივე მოტივებით, გარდა უკანასკნელისა. შესაძლებელია ასევე სამკვიდრო უფლება ჩამოერთვას მეუღლეს, თუკი ეს უკანასკნელი ბრალეულია რაიმე დანაშაულში, რის გამოც მენადერძეს მის გარდაცვალების პერიოდში შეეძლო წამოეწყო განქორწინების პროცესი. საკუთარი უფლებები (მაგალითად ანდერძით დასახელებული მემკვიდრეების წინაშე და ა.შ.) და ვადები დაცული უნდა იქნას. მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს პირს, რომელიც სამკვიდრო უფლებით

განკარგავს (რომლის ხელთ არის) სამკვიდროს კუთვნილ ნივთებს (სამკვიდროს მფლობელი), რომ მან აღიაროს მისი სამკვიდრო უფლება და დააბრუნოს სამკვიდრო ან მისი რომელიმე ნივთი (petition d'hérédité, სამკვიდრო პეტიცია, მუხლი 1871, სამოქალაქო კოდექსი). ამ პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა 20 წელიწადია (მუხლი 249, სამოქალაქო კოდექსი).

ასევე, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1826, 1827 და 1829 მუხლების თანახმად, თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს კანონიერად ჩამოერთვა სამკვიდრო უფლება, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ან თუ მან უარი განაცხადა კანონიერ სავალდებულო წილზე, ან მას ჩამოერთვა ეს უფლება უღირსი საქციელის გამო, კანონიერი სავალდებულო წილის უფლება გადადის კანონიერი სავალდებულო წილით მემკვიდრეებზე, კანონისმიერი სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი რიგითობის მიხედვით. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს გადაეცა კანონიერ სავალდებულო წილზე ნაკლები ნაწილი, მას უფლება აქვს ამ დაკლებულ ნაწილზე. ანდერძიდან გამომდინარე ნებისმიერი შეზღუდვა, სავალდებულო წილით მემკვიდრის საზიანოდ არ არის მოქმედი, რამეთუ აზარალებს სავალდებულო წილს.

სავალდებულო წილით მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. სავალდებულო წილს კარგად იცავს კანონმდებელი, რომელიც თვლის, რომ გარდაცვლილის სიცოცხლეში განხორციელებული ჩუქება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამკვიდროს გადაანგარიშებაში, გაუქმებულ უნდა იქნას, ვინაიდან მამკვიდრებლის გარდაცვალების პერიოდში არსებული სამკვიდრო არ არის საკმარისი სავალდებულო წილის დასაფარად. თანმიმდევრული ჩუქების შემთხვევაში, მიმართავენ წინა ჩუქებას, როდესაც შემდგომი ჩუქების გაუქმება არ არის საკმარისი (მუხლი 1835, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძნულ სამართალში სავალდებულო წილი წარმოადგენს სამკვიდროში რეალურ (პირდაპირ) მონაწილეობას. მემკვიდრე, რომელსაც გააჩნია უფლება

სავალდებულო წილზე არის თანამემკვიდრე კანონის ძალით. სავალდებულო წილის ნებისმიერი შეზღუდვა გამომდინარე გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტიდან (“mortis causa” დებულებიდან), (disposition de cause de mort) ბათილია (მუხლი 1829, სამოქალაქო კოდექსი). შესაძლებელია სავალდებულო წილი ანაზღაურდეს სიცოცხლის პერიოდში ჩუქებიდან (მუხლი 1833, სამოქალაქო კოდექსი). ბერძენი მამკვიდრებელი, რომელიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდა, არ ექვემდებარება ბერძნული დებულებების შეზღუდვებს სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ. 1738/1978 კანონის 21 მუხლის თანახმად, საბერძნეთის მოქალაქეები, რომლებიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდნენ სიკვდილამდე, არ ექვემდებარებიან ბერძნული კანონის დებულებებს სავალდებულო წილის და სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ, რაც შეეხება მათ უკანასკნელი ნების გამომხატველ აქტებს უცხოეთში მდებარე ქონების თაობაზე. თუ ეს უკანასკნელი პირობა სახეგა, შეუსაბამობა სავალდებულო წილისა და სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ დებულებებთან არ მოქმედებს ანდერძების და (“mortis causa” დებულების) გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სხვა აქტების ნამდვილობაზე, უცხოეთში მდებარე ქონების ჭრილში.

ზოგადად, სამკვიდროზე ნაადრევი უარის თქმა და სავალდებულო წილზე ნაადრევი უარის თქმა მიუღებელია. მხილოდ სხვადასხვა ეროვნების წყვილის (ან პარტნიორების) შემთხვევაში უცხოელ მეუღლეს (თუ ის უცხოეთში ცხოვრობს კონტრაქტის შედგენისას) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ, უსასყიდლოდ ან გადახდის მეშვეობით უარი თქვას მემკვიდრეობაზე, რომელიც მას ეკუთვნის ბერძნული კანონმდებლობის თანახმად (მუხლი 1, ბრძანებულება 472/1974 – „ონასისი კანონი“ “Loi Onassis”).²⁵

²⁵ იხ. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 7- 10.
<https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf>

მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს საკუთრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უფლებას, რომლის რეალიზაციის საფუძველიც მემკვიდრის მიერ შესაბამისი ნების გამოხატვაა აუცილებელი.

4. სამკვიდროს მიღება სამკვიდროს

ფაქტობრივი დაუფლებით

აღნიშნული ნაშრომით ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, რომელიც ექმნებათ სამკვიდრო ქონების მიღების მსურველ მემკვიდრეებს. აღნიშნული პრობლემა ეხება სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა“საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომლის თანამხადაც , სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სასამართლოს განმარტებით, სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული

მოქმედების განხორციელება - მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს - მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და ფაქტობრივი დაუფლებითა და მართვით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა და იგი არის მისი მესაკუთრე.

მითითებულ დანაწესში კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის ნების დადგენას - სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება. თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას.

ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე სამკვიდრო მასაზე პრეტენზიის განცხადება.

ამდენად, მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სამკვიდროს მიღებას უკავშირებს ასევე სამკვიდროს ფლობას და მართვას, რაც უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, ფლობა და მართვა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ მემკვიდრემ ამით განახორციელა მესაკუთრის ბატონობა და, აქედან გამომდინარე, იკისრა მესაკუთრის ყველა უფლება და ვალდებულება.

აღნიშნული ნორმები სამკვიდროს მიღებას უკავშირებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლების სურვილს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა დანაშთი ქონების ფაქტობრივად მიღება და მართვა. ამდენად, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად

დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება განხორციელდეს სახვასდასხვა გზით, კერძოდ: სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება გამოიხატოს სამკვიდრო უძრავი ქონებით სარგებლობაში, ამ ქონებაში ცხოვრების ფაქტით, მისი მოვლა-პატრონობით, გაქირავებით, სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთების დაუფლებითა და სარგებლობით.²⁶

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა.”²⁷

ნაშრომი მოიცავს, როგორც მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების წესთან/ ქონების ფაქტობრივ დაუფლებასთან დაკავშირებულ მიმოხილვას, ასევე

²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6-7, 14 თებერვალი, 2013 წელი, ქ.თბილისი საქმე №2ბ/4097-12

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 5, საქმე №2ბ/3489-11 30, იანვარი, 2011წელი (თბილისი)

ასახავს იმ შედეგებს რაც დაკავშირებულია სამკვიდრო მონუმობის გაცემასთან ან და სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე უარის თქმასთან მიმართებაში. ნაშრომი მოიცავს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შესაბამისი ნორმების გამოყენებისას სამკვიდრო საქმის წარმოებისას ნოტარიუსის მიერ პრაქტიკაში წარმოშობილი სირთულეების და ის სამართლებრივი შედეგების მიმოხილვას, რაც სამემკვიდრეო საქმის წარმოებისას - მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ვერ დადგენის/დაუდგენლობის შემთხვევაში დგება.

ხშირ შემთხვევებში, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან მემკვიდრეები (კანონისმიერი, ანდერძისმიერი) რეალურად ეუფლებიან, ფლობენ, სარგებლობენ/მართავენ სამკვიდრო ქონებას, თუმცა სამწუხაროდ ქართული საზოგადოების დაბალი სამართლებრივი კულტურისა და ნაკლებად ინფორმირებულობის გამო მათ ფაქტიურად წარმოდგენაც კი არა აქვთ მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცედურებზე, მემკვიდრეებს ხშირად სწორედ რომ ამ არაინფორმირებულობის/არცოდნის გამო ექმნებათ პრობლემები სამკვიდროს მიღებისას, რაც ხშირ შემთხვევებში, გამოწვეულია ზოგადი, თუ იურიდიული განათლების დეფიციტით. საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნებში, ნაკლებად ექმნებათ ადამიანებს მსგავსი პრობლემები, ვინაიდან, შესაძლოა მათაც ქართული საზოგადოების მსგავსად არ აქვთ ზოგადი იურიდიული განათლება, მაგრამ თავიანთი ძლიერი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თავს უფლებას აძლევენ იყოლიონ ოჯახის ადვოკატი და მისგან მიიღონ საკმაოდ ძვირადღირებული მომსახურება. რაც ევროპის ქვეყნებში საკმაოდ მიღებული ინსტიტუტია, ოჯახის ადვოკატი აგვარებს მნიშვნელოვან იურიდიულ საკითხებს, მათ შორის მემკვიდრეობის მიღების საკითხს. ქართულ სინამდვილეში არ არის მიღებული „ოჯახის ადვოკატის“ ყოლა, რაც დავის მხრივ განპირობებულია მოსახლეობის გლობალურად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, თუმცა ჩვენი ხალხისთვის

სამართლებრივი კულტურის შექმნა-განვითარებისთვის მიმაჩნია, რომ აუცილებელია ორი პირობის არსებობა მაინც: 1) ბავშვობიდან, სკოლებში სამოქალაქო სამართლებრივი სწავლის საკითხების გაძლიერება და 2) სამართლებრივ საკითხებში, განსაკუთრებით კი მემკვიდრეობით და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში ნოტარიუსთან კონსულტაცია, რომელიც სხვა იურისტებისაგან განსხვავებით ყოველგვარი საზღაურის გარეშე (სამკვიდრო საქმეებთან დაკავშირებით და იმ სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით რასაც ნოტარიუსის მხრიდან უნდა მოჰყვეს სანოტარო მოქმედების შესრულება კონსულტაცია უფასოა) გაუწევს კომპეტენტურ კონსულტაციას მოქალაქეებს.

აღნიშნული ნაშრომით მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე, თუმცა სანამ ამ საკითხს შევხებოდეთ, უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ, რომ კანონისათვის ქალიშვილიც და ვაჟიც თანაბარია და სამკვიდრო წილიც ორივე მათგანს თანაბრად ეკუთვნის. სამწუხაროა, მაგრამ ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე, თანამედროვე საქართველოშიც ჯერ კიდევ გაკულტებულია ვაჟი, როგორც გვარის გამგრძელებელი. რაც უსამართლობად მიმაჩნია, მართალია ვაჟის მიჩნევა გვარის გამგრძელებლად, მაგრამ ამ მოტივით ქალიშვილის დატოვება მემკვიდრეობის გარეშე მშობლების მხრიდან დიდი უსამართლობა მგონია.

როგორც ვიცით, სამკვიდროს მიღებას თავისი კანონით დადგენილი ვადები აქვს, მაგრამ ამ ნაშრომით ყურადღება მინდა გავამახვილო, არა კანონით დადგენილ ვადებში სამკვიდროს მიღებაზე, არამედ იმ გარემოებებზე და წინააღობებზე რაც სამკვიდროს მიღების ვადების გაშვების შემდგომ ექმნებათ მემკვიდრეთა უმეტესობას.

“სამკვიდრო მონშობის გაცემა და პირის მემკვიდრედ ცნობა დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. სამკვიდრო საქმის წარმოებისას ნოტარიუსის მიერ სამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის ნათესაური კავშირის

დადგენის გარდა, ასევე საჭიროა დადგინდეს მიიღო თუ არა მემკვიდრემ სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, პრობლემა შესაძლებელია მარტივად მოგვარდეს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეს არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის განცხადებით სამკვიდროს გახსნიდან საქ. სკ დადგენილ ექვსთვიან ვადაში და სამკვიდრო მოწმობის მიღება სამკვიდრო ქონების დაკანონების მიზნით გადაწყვიტა ამ ვადის გასვლის შემდეგ, იგი ვალდებულია ამტიცოს, რომ მან სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილი მეორე გზით - სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამის დასამტკიცებლად კი მან ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები . „სანოტარო მოქმედებების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლის,, საფუძველზე, ნოტარიუსები სამკვიდროს დაუფლების დასადასტურებლად, მემკვიდრეებს, დამატებით სთხოვენ შემდეგი სახის დოკუმენტაციის წარდგენას რომლის თანახმადაც: სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით:

ა)იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამონურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდა ერთიდაიგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, ეს ნორმა მოქმედებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებულნი. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ ნივთებს ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას/საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებულნი იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი.

ბ)მამკვიდრებლის კუთვნილი იმ დოკუმენტების ფაქტობრივად ფლობა, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო მასაში სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის, სახეობითი აქციის არსებობას;

გ)საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკისცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შესრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამასთანავე, ესვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში.

დ)კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია.

დ1)ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე.

ე) სხვა საჯარო დოკუმენტები.2.ნოტარიუსი უფლებამოსილია მემკვიდრეს მოსთხოვოს საჯარო განცხადების გამოქვეყნება ამ ინსტრუქციის 87-ე მუხლით დადგენილი წესით. 2.ნოტარიუსი უფლებამოსილია მემკვიდრეს მოსთხოვოს საჯარო განცხადების გამოქვეყნება ამ ინსტრუქციის 87-ე მუხლით დადგენილი წესით. “²⁸

აღნიშნული ნორმა თითქოს სრულად და ამომწურავად არეგულირებს სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ

²⁸ იხ. [სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ](#) კომენტარების 85 მუხლი ნოტ. ნ.სიღამონიძე

საკითხებს, მაგრამ ჩემი ნაშრომით ვეცდები განვიხილო ის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები რასაც ხშირად აქვს სანოტარო პრაქტიკაში ადგილი და რის გამოც მემკვირეები საკმაოდ ბევრს წვალობენ სამკვიდროს მიღების მცდელობისას.

“სამკვიდრო მონუმობის გაცემა და პირის მემკვიდრედ ცნობა ხშირად დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. გარდა მემკვიდრესთან ნათესაური კავშირის დადგენისა, საჭიროა დადგინდეს მიიღო თუ არა მემკვიდრემ სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით. თუ მემკვიდრემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, პრობლემა მარტივად მოგვარებადია, ხოლო თუ მემკვიდრეს არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის სამკვიდროს გახსნიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში განცხადებით, და სამკვიდრო მონუმობის მიღება სამკვიდრო ქონების დაკანონების მიზნით გადაწყვიტა ამ ვადის გასვლის შემდეგ, იგი ვალდებულია ამტიცოს, რომ სამკვიდრო მან მიიღო კანონით დადგენილი მეორე გზით - სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამის დასამტკიცებლად კი მან ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ძნელია კანონმა ან რომელიმე ნორმატიულმა აქტმა ასეთი დოკუმენტების ნუსხა ამომწურავად განსაზღვროს. ინსტრუქციის ამ ნორმაში შეძლებისდაგვარად ჩამოთვლილია ასეთი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ეყრდნობა სანოტარო პრაქტიკას, რაც დრო გადის, იცვლება დაწესებულებების სახეები და კომპეტენციები, რომელთა ფუნქცია იქნებოდა მსგავსი ფაქტების დადასტურება და შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რაც თანდათან უფრო და უფრო ართულებს სამკვიდრო მონუმობის გაცემას სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე.

ყოველი სამკვიდრო საქმე ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და ძნელია ერთიანი სტანდარტის დადგენა, თუმცა გამოსავალი ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს. დამკვიდრებული პრაქტიკით სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის კლასიკური მაგალითებია მამკვიდრებლის და მემკვიდრის ერთ

მისამართზე რეგისტრაცია სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. ასევე მამკვიდრებლის რეგისტრაცია სამკვიდრო მასაში შემავალ უძრავ ქონებაში. ინსტრუქციის თანახმად მნიშვნელობა არ აქვს რა უფლებრივი მიმართება აქვს ან ქონდა მემკვიდრეს იმ ქონების მიმართ რომელშიც არის ან იყო რეგისტრირებული სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში.

ამ ფაქტების დადგენა შესაძლებელია სხვადასახვა დოკუმენტის საშუალებით. ასეთი შეიძლება იყოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათები, სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ნოტარიუსისთვის .

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შესაძლებელია საბინაო წიგნის ჩანაწერების გამოყენებით. ცნობილია რომ დღეისათვის საბინაო წიგნის მოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ძველი ინფორმაციების მოპოვება შეუძლებელია სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საშუალებით, რადგანაც რეესტრს არ გადასცემია ყოფილი საინფორმაციო სამისამართო ბიუროს მონაცემთა სრული ბაზა, ან უბრალოდ ეს მონაცემები არ დამუშავებულა სრულყოფილად და არ არის შეტანილი სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში, ამიტომ ხშირად შეუძლებელია 1940-1980-1990 და ზოგჯერ უფრო აქეთ პერიოდის საინფორმაციო მონაცემები პირის რეგისტრაციის შესახებ, ასეთ დროს საჭირო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ საბინაო წიგნის საშუალებით, სადაც თითოეული რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი დადასტურებულია სპეციალური შტამპით. (ამ ინფორმაციებს ასევე იყენებენ სასამართლოებიც).

ცალკეულ შემთხვევებში პირის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ასევე შესაძლებელია საბჭოთა პერიოდის პასპორტებით, თუკი ასეთი ხელზე აქვს პირს- მემკვიდრეს. იქაც ჩანერის შესახებ ინფორმაცია

დადასტურებულია შსს ორგანოების შტამპით.“²⁹ ამასთან, მინდა ავლნიშნო, რომ მემკვიდრეები ზეომარნიშნულ საბუთებს , მაგალითად საბჭოთა პასპორტს, საბინაო წიგნაკს და სხვ. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში წარმოადგენენ, მათ მიერ ყველაზე მარტივად ხდება საინფორმაციო ბარათების წარმოდგენა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს მამკვიდრებლის და მემკვიდრის ერთ მისამართზე რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დამდგენი დოკუმენტია, მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მემკვიდრეს და მამკვიდრებელს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამონურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდეთ ერთი და იგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. სანოტარო პრაქტიკაში - ხშირია შემთხვევები, როცა მემკვიდრე და მამკვიდრებელი ფაქტობრივად ცხოვრობენ ერთ მისამართზე, ეწევიან საერთო სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ რეგისტრირებულნი არიან სხვადასხვა მისამართზე, შესაბამისად მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ლოგიკურია, მათ სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამონურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ვერანაირად ვერ ექნებათ ერთი და იგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. გამომდინარე აქედან, ნოტარიუსი დოკუმენტურად ვერ დაადასტურებს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივად დაეუფლებას, შესაბამისად ამისა იძულებული ხდება გასცეს სამკვიდრო მონშობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება, გზააბნეულმა მემკვიდრემ კი რომელსაც დიდი ალბათობით არ ექნება იურიდიული განათლება, იძულებით უნდა აიყვანოს ადვოკატი, რაც საკმაოდ ძვირადღირებული მომსახურებაა, და ფაქტობრივი ფლობის დადგენის და გაშვებული ვადების

²⁹ იხ. [სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ](#) კომენტარების 85 მუხლი ნოტ. ნ.სიღამონიძე

აღდგენის მიზნით მიმართოს სამართლოს, რაც ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცედურაა.

“განსაკუთრებით რთულია სოფლად მცხოვრები პირების საცხოვრებელი ადგილის დადასუტრება. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეების მიერ ნოტარიუსისათვის ხდება საინფორმაციო ბარათების წარდგენა სადაც მემკვიდრის და მამკვიდრებლის მისამართები იდენტიურია და ნათლად ჩანს მათი რეგისტრაცია ერთ მისამართზე, იმის გამო, რომ სოფელი არ არის დაყოფილი ქუჩებად და არ არის დანომრილი ბინები, ძნელია ნოტარიუსის მიერ დადგენა მემკვიდრე და მამკვიდრებელი ერთ მისამართზე არიან თუ არა რეგისტრირებული, ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი არის სოფლის თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის (მნიშვნელობა არ აქვს მის თანამდებობრივ წოდებას) მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადატურებს პირის (მემკვიდრის) მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს. იგულისხმება, რომ აღნიშნული პირები იცნობენ თვითეულ ოჯახს და თუ პირის გარდაცვალების დღიდან მისი კუთვნილი ქონება უპატრონოდ არ არის მიტოვებული და არც ხაზინას გამოუთქვამს პრეტენზია სამკვიდროს შესახებ, იგი ფაქტობრივად მიღებული აქვს მემკვიდრეს, რომელიც ზრუნავს და უვლის ქონებას, იხდის გადასახედებს, ამუშავებს მიწის ნაკვეთს და სხვა. თვითმმართველი ორგანოების მიერ გაცემულ ცნობებს ასევე აქტიურად იყენებს სასამართლო პირის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების შესახებ გადანაცვტილებების მიღებისას. თუმცა ბოლო პერიოდში გართულდა ასეთი ცნობების გაცემა, რაც უკავშირდება კანონს თვითმმართველი ერთეულის შესახებ, რომელმაც აღარ გაითვალისწინა მსგავსი დოკუმენტების გაცემის უფლებამოსილება ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის კომპეტენციებში.³⁰ ამ ფაქტის გამოც, ნოტარიუსები

³⁰ [სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ](https://www.notary.ge/geo-2738-sanotaro-moqmedebata-shesrulebis-cesis-shesaxeb) კომენტარების 85 მუხლი ნოტ. ნ.სიღამონიძე

იძულებულები ივნენ გაეცათ სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ დაზუსტებული ინფორმაცია, მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლის კუთვნილი ქონების ფლობასა სარგებლობასა თუ მართვაზე.

იმისათვის რომ ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარებულიყო საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ მიღებულ იქნა რეკომენდაცია რომლის თანახმადაც:

“2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის 166-ე მუხლითაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

ძალადაკარგული ორგანული კანონის თანახმად, რწმუნებულის ვალდებულებაში შედიოდა მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამგებლისადმი (მერისადმი) წარდგენა. აღნიშნული კომპეტენციიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენ დოკუმენტთა შორის გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ. 2014 წლის 5 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე

მცხოვრებ პირთა უძრავი ქონების ფლობის/სარგებლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, რაც გამორიცხავს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მითითებული ნორმით გათვალისწინებული ცნობების გაცემას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის სანაცვლოდ, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, ნოტარიუსი უფლებამოსილია, ფაქტობრივი ფლობის დამდგენ ერთ-ერთ დოკუმენტად მიიღოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, თემის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ ინფორმაცია. მართალია ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნოტარიუსი უფლებამოსილია, ფაქტობრივი ფლობის დამდგენ ერთ-ერთ დოკუმენტად მიიღოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, თემის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ ინფორმაცია.³¹

მაგრამ, „როგორც ცნობილია საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაცია ხორციელდება მუნიციპალიტეტების სოფლებში, იქ სადაც არ არის დამისამართება გაკვეთილი. რაც აძნელებს მოქალაქეთა მხრიდან ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას სანოტარო ბიუროში. აღნიშნული პროექტის დაწყებიდან დღემდე, ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის

³¹ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის რეკომენდაცია
<https://www.notary.ge/res/docs/shida/menu/rekomendatsia_31_10_2014.pdf>

არარსებობის გამო, მიუხედავად მოსახლეობის დიდი ინტერესისა და თხოვნისა ნოტარიუსები ვერ გასცემენ სამკვიდრო მონაწილას.

რიგი მუნიციპალიტეტის სოფლების ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები არ გასცემენ იმ სახის ცნობებს, რომლითაც დასტურდებოდა ინფორმაცია მამკვიდრებლის გარდაცვლების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, (გამგეობის რეკომენდაცია), რასაც ასაბუთებენ იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებლებს არ გააჩნიათ რეგისტრირებული უძრავი ქონება და შესაბამისად ისინი არიან არა მესაკუთრეები არამედ მართლზომიერი მფლობელები.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად:

„მართლზომიერი მფლობელი – ფიზიკური პირი, რომელსაც მესაკუთრედ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე წარმოეშვა»

მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი – 1994 წლამდე უძრავი ნივთის მფლობელად (მოსარგებლედ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება, საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებალის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის

(მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული მიწის გადასახადის გადამხდელთა სია (საგადასახადო სია), „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესით სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან სხვა დოკუმენტი; რადგან (კანონის მე-7 მუხლი) „თუ საპილოტო პროექტის ფარგლებში სამუშაოების შესრულების შედეგად დადგინდა, რომ მართლზომიერი მფლობელის ადგილსამყოფელი უცნობია, საჯარო რეესტრში აისახება ინფორმაცია ამ პირის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ, ხოლო თუ მართლზომიერი მფლობელი გარდაცვლილია და მისი უფლებამონაცვლე ვერ დგინდება, საჯარო რეესტრში აისახება ინფორმაცია გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. არბოშიკის და ს. არხილსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები (საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის და საჯარო რეესტრის წარმომადგენლების მიერ მათთან გამართული არაერთი შეხვედრის შემდეგ) აცხადებენ მზადყოფნას საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბარათის საფუძველზე გასცენ ცნობები, რომლითაც დასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვლების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდის მითითებით) მემკვიდრის მიერ ფლობის ან სარგებლობის შესახებ ინფორმაცია.

მათ მიერ ნოტარიუსთათვის შეთავაზებული ცნობის შინაარსი არ შეესაბამება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის მიერ მიღებულ რეკომენდაციას, აქედან ამომდინარე, აღნიშნული საკითხი საჭიროებს

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას“³².

მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის კუთვნილი დოკუმენტების ფაქტობრივი ფლობით ასევე შესაძლებელია სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადასტურება, “რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო მასაში შემავალი სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის არსებობის (ანაბრის წიგნაკი, თუნდაც ძველი შემნახველი სალაროს წიგნაკი, საანაბრე ან ჩვეულებრივი საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულება და სხვა), სახეობითი აქციის ფლობით და სხვა. ასეთი დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში საჭიროა დოკუმენტების ასლები დაერთოს სამკვიდრო საქმეს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საკმარისი არ არის ბანკის ანაბრის დამადასტურებელი წიგნაკის თავფურცელის საქმეში შენახვა, საჭიროა სამკვიდროს საქმეს ერთვოდეს დოკუმენტის იმ ნაწილის ასლებიც, რაც ადასტურებს ანგარიშზე თანხის არსებობას.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შესაძლებელია ასევე ბანკის მიერ გაცემული ცნობით პირის მიერ გარდაცვლილის მიუღებელი პენსიის მიღების შესახებ. ცნობილია, რომ პირველი რიგის მემკვიდრეები საპენსიო დებულების თანახმად გარდაცვლილის პენსიას იღებენ სამკვიდრო მონაწილის წარდგენის გარეშე, მხოლოდ ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტების წარდგენით, სახელმწიფო პენსიის შესახებ, საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა

მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხის მისარებად მიმართეს გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. სამოქალაქო კოდექსის 1421 მუხლი განმარტავს, რომ თუ მემკვიდრემ მიიღო სამკვიდროს ნაწილი, ითვლება რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. გამომდინარე აქედან, თუ

32

მემკვიდრემ მიიღო გარდაცვლილის პენსია, მან ფაქტობრივად მიიღო მთელი სამკვიდრო“. ³³ მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ხშირია შემთხვევები ბანკის თანამშრომლების მხრიდან მემკვიდრეთათვის სამკვიდრო მონუმობის მოთხოვნისა, რაც შეგვიძლია მივანეროთ ბანკის თანამშრომლების სავარაუდო სამართლებრივ უცოდინარობას.

აღნიშნული ნორმის 1 პუნქტის დ) ქვეპუნქტის გამოყენება პრაქტიკაში ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომუნალური გადასახადების ქვითრებში გადასახადი კონკრეტულად მემკვიდრეების სახელზე მოდის, და გადამხდელად კი გადახდის დამადასტურებელ ქვითრებში შესაძლებელია მემკვიდრის გადამხდელად იდენტიფიკაცია; პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მიუხედავად იმისა რომ ქონება გარდაცვლილის სახელზეა რეგისტრირებული საგადახდო ქვითრები მოდის არა მემკვიდრეების არამედ მისი სხვა ოჯახის წევრების ან სხვა ყოფილი მესაკუთრის (წინაპრების ან უძრავი ნივთის შეძენის შემთხვევაში წინა მესაკუთრის) სახელზე, ასევე ხშირია შემთხვევები, რომ მემკვიდრე ასრულებს ამ ვალდებულებებს, იხდის გადასახადებს სამკვიდროს მიღების ვადაში, მაგრამ სამკვიდროს მიღების საკანონმდებლო პროცედურების არ ცოდნის გამო ავდებს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის მიღებისათვის, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს ნოტარიუსის მიერ ინსტრუქციის 85-ე მუხლით დადგენილი წესით სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლების დაუდგენლობის შემთხვევაში მას უფლება არ აქვს სამკვიდრო მონუმობის გაცემისა და გასცემს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის დადგენილებას. სასამართლოში სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებასთან

³³ [სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ](https://www.notary.ge/geo-2738-sanotaro-moqmedebata-shesrulebis-cesis-shesaxeb) კომენტარების 85 მუხლი ნოტ. ნ.სიღამონიძე

დაკავშირებული დავები ხშირად ხანგრძლივად ჭიანურდება, ზოგ შემთხვევაში მსგავსი ტიპის დავები საკასაციო სასამართლომდეც კი მიდის.

5. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენის პრობლემის გადაჭრის გზა

იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეს არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით სამკვიდროს გახსნიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში და გადაწყვიტა სამკვიდრო ქონების დაკანონების მიზნით სამკვიდრო მონაწილის მიღება ამ ვადის გასვლის შემდეგ, იგი იძულებულია ამტყოს, რომ მას სამკვიდრო მიღებული აქვს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამის დასადასტურებლად კი მიზანშეწონილია, მან ნოტარიუსს წარუდგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები სანოტარო მოქმედებების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლის საფუძველზე, ნაცვლად სასამართლოსთვის მიმართვისა. ნოტარიუსები სამკვიდრო საქმის წარმოებისას მემკვიდრეებს, (გარდა ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტაციისა)

სამკვიდროს დაუფლების ფაქტის დადგენის მიზნით, დამატებით სთხოვენ იმ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენას, რომლითაც შესაძლებელია ფაქტობრივი ფლობის დადგენა, მემკვიდრეები კი თავის მხრივ ცდილობენ გაგებით მოეკიდონ ნოტარიუსის განმარტებას მათ მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტის დადგენის აუცილებლობაზე და ცდილობენ დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტის წარმოდგენას, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ხშირ შემთხვევაში ისინი რეალურდ დაუფლებულნი არიან მამკვიდრებლის უძრავ-მოძრავ ქონებას, სანოტარო ორგანოში მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში არსებული უზუსტობების და ხარვეზების გამო ნოტარიუსის მიერ ვერ ხორციელდება აღნიშნული ფაქტის დადგენა.

იმისათვის, რომ მემკვიდრეებმა მარტივად გადალახონ მსგავსი წინააღობები სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს შესაბამისი ნორმები აღნიშნულის მოსაწესრიგებლად.

თითოეული სამკვიდრო საქმე განსხვავებულია თავისი არსით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. მართალია ძნელია სამემკვიდრო საქმესთან დაკავშირებით ერთიანი სტანდარტების დადგენა, მაგრამ გამოსავალი მაინც ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს.

სასამართლოს აქვს უფლება მოწმეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინოს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული საკითხები. მიზანშეწონილია აღნიშნული ფუნქცია მიენიჭოთ ნოტარიუსებსაც, რომლებიც მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგენენ მემკვიდრის მიერ გარდაცვლილის სამკვიდროს დაუფლების ფაქტს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული სასამართლოები გადატვირთულია დავებით რასაც ემატება სამკვიდრო საქმესთან დაკავშირებული დავებიც. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ საერთო სასამართლოებში განსახილველი იყო 968 სამემკვიდრო დავა, რომელსაც იმავე

წელს დაემატა 656 დავა.³⁴ ნოტარიუსებისთვის ზემოაღნიშნული ფუნქციის მინიჭებით მივიღებთ ორ დადებით შედეგს, პირველ შემთხვევაში აღნიშნული გამოიწვევს სასამართლოების განტვირთვას სამემკვიდრეო დავებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, კი მემკვიდრეთათვის სამკვიდროს მიღების ისედაც რთული პროცედურების გამარტივებას.

ნოტარიუსისთვის აღნიშნული ფუნქციის მინიჭებამ, შესაძლოა წარმოქმნას გარკვეული პრობლემებიც, მაგალითად, შესაძლოა ერთმა მემკვიდრემ ფაქტობრივი დაუფლებით (მონშეთა განცხადების საფუძველზე) მიიღოს სამკვიდრო ქონება (სამკვიდრო მონშობა), ხოლო შემდგომ ნოტარიუსს მიმართოს სხვა მემკვიდრემ, რომელმაც მონშეთა მეშვეობით დაადასტუროს იგივე და ნოტარიუსს მოსთხოვოს მის მიმართაც სამკვიდრო მონშობის გაცემა. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემა არის გადაჭრადი და შესაძლოა ჩაერთოს სასამართლო, თუმცა ეს იქნება შედარებით იშვიათი შემთხვევა.

მეორე პრობლემა რაც შესაძლოა წარმოიშვას ეს არის მემკვიდრეთა წრის შესახებ ინფორმაცია, რომლის კვლევის ვალდებულებაც სასამართლოს დავის განხილვისას აკისრია, ნოტარიუსს კი კანონმდებლობა არ ავალდებულებს აღნიშნულს. თუმცა, ესეც მარტივად შეიძლება მოგვარდეს მემკვიდრის განცხადების საფუძველზე, რათა მის მიერ ნოტარიუსისათვის ინფორმაციის შეგნებულად დამალვის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადავიდეს არა ნოტარიუსზე არამედ მემკვიდრეზე და მის მიერ ნოტარიუსისათვის ინფორმაციის შეგნებულად დამალვის შემთხვევაში დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა.

³⁴ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა, 2017, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017-weli-wigni-samoqalaqo.pdf>>

6. დასკვნა

საკვლევი თემიდან გამომდინარე ცხადი გახდა ჩატარებული კვლევის აუცილებლობა. როგორც ნაშრომიდან ჩანს, იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეს არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით სამკვიდროს გახსნიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში და გადაწყვიტა სამკვიდრო ქონების დაკანონების მიზნით სამკვიდრო მონაწილის მიღება ამ ვადის გასვლის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში ურთულდება სამკვიდროს მიღება და თუკი ვერ დაამტკიცა, რომ მას სამკვიდრო მიღებული აქვს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით, იძულებულია მიმართოს სასამართლოს, აიყვანოს ადვოკატი,

გაიღოს შესაბამისი დრო და ხარჯები და თუ ფინანსური მგომარეობა ხელს არ უწყობს იძულებულია ითმინოს და აღნიშნული პრობლემა დარჩეს გადაულახავი.

მიმაჩნია რომ სასამართლოს მსგავსად ნოტარიუსსაც უნდა მიენიჭოს უფლება მონშეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინოს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული ფუნქციის ნოტარიუსისათვის მინიჭება გამოიწვევს სასამართლოების სამემკვიდრეო დავებისაგან მნიშვნელოვნად განტვირთვას, (რაც 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით შეადგენს 1624 სამემკვიდრეო დავას.³⁵) და ასევე ქართული საზოგადოებისათვის სამკვიდროს მიღების წესს გაამარტივებს.

ნოტარიუსისათვის აღნიშნული ფუნქციის მინიჭებამ, როგორც ზემოთ ავლინებზე, შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული, მცირედი პრობლემები, რაც მარტივად მოგვარებადია სასამართლოსათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლოა მემკვიდრეთა მცირედ ნაწილს მაინც მოუწიოს სასამართლოსათვის მიმართვა, მაგრამ მემკვიდრეთა ძირითადი ნაწილისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდება სამკვიდრო მონშობის მიღება.

სამემკვიდრეო საქმეებზე სასამართლოთა დავების მხოლოდ 2017 წლის წლის სტატისტიკური მონაცემებიც კი ცხადყოფს, იმას, რომ დღეს მოქმედი მემკვიდრეობის სამართლის ზოგიერთი ნორმა ბუნდოვანების ან უზუსტობის გამო საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება ფაქტობრივ დაუფლებასთან დაკავშირებით, რათა ამით მოწესრიგდეს და გამარტივდეს ქართული საზოგადოებისათვის ქონებისა და სამკვიდროს მიღების წესი და მეორე მხრივ სასამართლოებს შეუმსუბუქდეს და შეუმცირდეს დავების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

³⁵ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა, 2017, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017-weli-wigni-samoqalaqo.pdf>>

იმედია ჩემი კვლევის შედეგები წვლილს შეიტანს ფაქტობრივ დაუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრაში.

გამოყენებული ლიტერატურის

ბიბლიოგრაფიული ნუსხა:

1. საქართველოს კონსტიტუცია ,თბილისი 2009;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,1997;
3. იურიდიული ენციკლოპედია, თბილისი 2008;

4. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია, საქართველოს მინისტრის ბრძანება, 71, (31/03/2010);
- 11 საქართველოს ნოტარიუსთა პალატის რეკომენდაცია
- 12 შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა “მერიდიანი“, 2000.
5. რ. და ე. შენგელიების, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2009;
6. ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2007;
7. გ. ლობჯანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი 2001;
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; თბილისი 2000;
- 11 . ივ. ჯავახიშვილის, თხუზებანი, ტ.VII, თბილისი 1984.
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება , 5, საქმე №2ბ/3489-11 30, იანვარი, 2011წელი, თბილისი)
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6, 7, 14 თებერვალი, 2013 წელი, ე.თბილისი საქმე №2ბ/4097-12

არაქართულენოვანი ლიტარეტურა და

ინტერნეტ წყაროები:

1. ნ. როსეთაშვილის სტატია მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით

< <https://elawjournal.wordpress.com>>

2. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება

<[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli biblioteka/saberdznetis m
emkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_mmkvidreoba.pdf)>

3. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება,

<[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli biblioteka/saberdznetis m
emkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_mmkvidreoba.pdf)>

4. ლეილა კობრეიძე, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი ვ#2(41)'14 ,
9,10.

<[http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martmsajuleba-da-kanoni-2014w-
n2.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martmsajuleba-da-kanoni-2014wn2.pdf)>

5. ლევან თოთლაძე, საკუთრების უფლების შინაარსი, ბოლო დამუშავება:
2016, 2.

1. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:

- სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- ე.ი. - ესე იგი
- ა.შ. - ასე შემდეგ
- სხვ. - სხვა